ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

2017 წლის 20 აპრილი

ქ. ზუგდიდი

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესისა და იურიდიული პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესისა და იურიდიული პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/02/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.170.016232) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის:

ა.ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2 .არ დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების ფართს ან მათ ნაწილს, ღია ტერიტორიების ფართს ან მათ ნაწილს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს, გამოუყენებელია და არ წარმოიქმნება ნარჩენი. ასევე არ დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი ინფრასტრუქტურის ფართზე (დამხმარე სამეურნეო ნაგებობა, ავტოსადგომები, შიდა ბიბლიოთეკები, საქვაბე, შიდა მომსახურებისათვის სამრეცხაო, სასადილო, სკვერები, საკონფერენციო დარბაზები). სპეციალიზებულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს გრაფიკით, აღსაზრდელთა და მოსწავლეთა რაოდენობა იანგარიშება საერთო სიის მიხედვით, ხოლო სტუდენტებზე სტატუსის (აქტიური) გათვალისწინებით.“;

ა.ბ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს მე-8 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს შეუძლია ადგილობრივი მოსაკრებლების ამოსაღებად შესაბამის იურიდიულ პირებთან გააფარმოს ხელშეკრულება.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი №2

დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისათვის, იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა

№№	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული (K)	ნარჩენის წლიური დაგროვების ნორმა 1მ³ (N)	ტარიფის (საფასური ლარში) ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1.	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1მ²	0,04	0,08	
2.	სახელმწიფო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1მ²	0,2	0,41	
3.	ოფისები, სააგენტოები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1მ²	0,44	0,9	
4.	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,2	0,41	
5.	სკოლები, ინტერნატები, ბაგა-ბაღები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ერთი სული	0,1	0,1	
6.	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ერთი სული	0,2	0,41	
7.	სასტუმროები (კვების ბლოკის გარეშე)	მომსახურების ერთეული- ერთი საწოლი	2	3	
8.	საავადმყოფოები	მ³		25	
9.	პოლიკლინიკები, სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო კაბინეტები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1მ²	0,28	0,58	

10.	აფთიაქები	სამუშაო ფართის 1მ²	0,44	0,9	
11.	სტადიონები, ღია ტიპის სპორტული მოედნები	საერთო ფართობის 1მ²	0,02	0,02	
12.	დახურული ტიპის სპორტული დარბაზები	დახურული ფართის 1მ²	0,16	0,33	
13.	სასურსათო, შერეული საქონლის და სხვა დასახელების მარკეტები (მაღაზიები).	სავაჭრო ფართის 1მ²	0,44	0,9	
14.	სამრეწველო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ²	0,25	0,5	
15.	ოქროს სავაჭრო ბირჟები, ლომბარდები	სამუშაო ფართის 1მ²	0,2	0,41	
16.	აგრარული ბაზრობები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართობის 1მ² ან 1 მ³	0,36	0,75 25	
17.	სამრეწველო და შერეული საქონლის ბაზრობები	საერთო ფართობის 1მ²	0,21	0,45	
18.	ავტოსადგომები	1მ²	0,09	0,4	
19.	ბენზინგასამართი სადგურები	1მ²	0,36	0,8	
20.	აბანოები, საუნები	1მ²	0,32	0,7	
21.	სადალაქოები, სილამაზის სალონები	1მ²	0,44	0,9	
22.	რესტორნები, კაფე-ბარები, სასადილოები და სწრაფი კვების ობიექტები (შაურმა)	ერთი დასაჯდომი ადგილი ან 1მ³	1,35	2,8	

				25.0	
23.	საცხობები და საკონდიტროები	1მ²	0,36	0,75	
24.	ტოტალიზატორები, სისტემურ-ელექტრონული აპარატები და სხვა სათამაშო კლუბები	1მ²	0,48	1	
25.	რკინიგზის და საავტომობილო სადგურები	1მ²	0,18	0,4	
26.	ღია ტიპის დასვენების და გასართობი ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	1მ²	0,02	0,04	
27.	სამხედრო ნაწილები, პენიტენციარული სისტემა	1მ³		25	
28.	ავტოტექმომსახურების სადგურები, სახელოსნო, ავტოსამრეცხაო	1მ²	0,2	0,45	
29.	საბითუმო და სამაცივრო საწყობები და ბაზები	1მ²	0,18	0,4	
30.	საბანკეტო დარბაზები	1მ³		25	
31.	სადურგლო, მეტალოპლასტმასის, მინის დაჭრისა და სხვა სახელოსნო	სამუშაო ფართის 1მ²	0,36	0,75	
32.	თხილის გადამამუშავებელი საწარმოები	1მ³		25	სეზონური

შენიშვნა: ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნატალია შეროზია**